ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:
ოქმი №ს4-20, 17.03.2020
დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:
დადგენილება №7, 27.03.2020

ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:
ოქმი №ს19-24, 13.11.2024
დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:
დადგენილება №29, 15.11.2024

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი განათლების საფეხური: დამოუკიდებლად არსებული მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანამანთლებლო პროგრამა

სწავლების ენა: ქართული / უცხოური ენების მიმართულებისთვის საგნობრივი მეთოდიკის კურსები ქართულ და შესაბამის უცხოურ ენაზე

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

სწავლის ხანგრძლივობა: 1 წელი, 2 სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (ECTS) - 1 კრედიტი - 25 საათი

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: აფილირებული ასისტენტ-პროფესორი, ნინო ფეტვიაშვილი, ელ. ფოსტა: petviashvili.nino@eu.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებები და ქვემიმართულებები

1. **ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულება:**
   - დაწყებითი საფეხურის (I-VI) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
   - საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
2. **მათემატიკის მიმართულება:**
   - დაწყებითი საფეხურის (I-VI) მათემატიკის მასწავლებელი
   - საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მათემატიკის მასწავლებელი
3. **დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი;**

4. **დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი;**

5. **საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულება:**

- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საზოგადოებრივ მეცნიერებებში - ისტორიის მასწავლებელი
- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საზოგადოებრივ მეცნიერებებში - სამოქალაქო განათლების მასწავლებელი
- საბაზო-საშუალო საფეხურის (VII-XII) მასწავლებელი საზოგადოებრივ მეცნიერებებში - გეოგრაფიის მასწავლებელი

6. **ბუნებისმეტყველების დაწებითი საფეხურის (I-VI) მიმართულება:**

- დაწყებითი საფეხურის (I-VI) ბუნებისმეტყველების მასწავლებელი

7. **უცხოური ენების მიმართულება:**

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი უცხოურ ენაში - ინგლისური ენის მასწავლებელი
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი უცხოურ ენაში - რუსულის, როგორც უცხოური ენის მასწავლებელი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრი/მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით. ასევე, პირი ვალდებულია ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული შიდა გამოცდა.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები და გამოსაცდელ პირთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.eu.edu.ge) გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ სამი თვით ადრე.

პროგრამის აქტუალობა

თანამედროვე საქართველოში განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის კვალდაკვალ შპს ევროპის უნივერსიტეტს აქვს მზაობა წვლილი შეიტანოს ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში და ხელი შეუწყოს ქვეყნის საზოგადოებრივი და სოციალურ ეკონომიკური აქტივობების განხორციელებას. სასკოლო რეფორმის მთავარი ამოცანაა მოხდეს მასწავლებელთა 21-ე საუკუნის გამოწვევებთან, თანამედროვეობის მოთხოვნებთან შესაბამისობა. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა დარგობრივი ცოდნის, პროფესიული უნარებისა და კვალიფიკაციის ამაღლება. მასწავლებლის პროფესია სახელმწიფოს მიერ ერთ-ერთი რეგულირებადი პროფესიაა, რაც ცალსახად უსვამს ხაზს აღნიშნული პროფესიის მნიშვნელობას სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით.

განათლების ხარისხის გაუმჯობესების კომპლექსური და სისტემური მიდგომის საჭიროებიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგას პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების, სასწავლო პროცესის მოსწავლეზე მორგებისა და ხარისხობრივად განვითარების საჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია მრავალი მარეგულირებელი დოკუმენტი (მასწავლებელთა სტანდარტები, მასწავლებელთა კარიერული წინსვლის სქემა) და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები პერმანენტულად მიმდინარეობს, მასწავლებელთა დიდი ნაწილის კომპეტენცია არ არის მოთხოვნის შესაბამისი, ამრიგად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ხდება უსტატუსო მასწავლებლების გადინება. ქვეყანაში მიმდინარე სასკოლო რეფორმის მთავარი ამოცანაა მასწავლებელთათვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მიდგომების მიწოდება, რაც არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ძალიან რთულად მისაღწევია. ასევე, დგას პედაგოგთა კორპუსის „დაბერების“ პრობლემა, რაც მოიაზრება ხარისხიანი საბაზო განათლების ხელმისაწვდომობის ერთ-ერთ დამაბრკოლებელ გარემოებად. მოქმედ მასწავლებელთა საშუალო ასაკი თვალსაჩინოს ხდის ახალი კადრების მომზადების მიმართულებით მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას. შესაბამისად, ქვეყანაში არსებობს სერიოზული გამოწვევები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

აკადემიური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ევროპის უნივერსიტეტს აძლევს საშუალებას თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშვებით ხელი შეუწყოს დასახული ამოცანების განხორციელებას.

პროგრამის მიზანი

მოამზადოს საქართველოს განათლების მოქმედი კანონმდებლობის, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი, რომელიც იქნება:

- კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, ინოვაციური, აკადემიური და ტექნოლოგიური უნარ-ჩვევების, მოქალაქეობრივი შეგნებისა და დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი;
- შესაბამისი საგნის/საგანთა ჯგუფის სწავლებისათვის საჭირო ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი, ორიენტირებული იქნება უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე;
- კონკურენტუნარიანი, სიახლეების მიმღები და დამნერგავი პედაგოგიურ პრაქტიკაში.

სწავლის შედეგები

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

სწავლის შედეგი 1. გეგმავს მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებულ მოკლევადიან და გრძელვადიან სასწავლო პროცესს; გეგმავს არაფორმალურ სწავლებასა და საქმიანობას მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით; სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებს, ეროვნული სასწავლო გეგმას, სკოლის პრიორიტეტებს, მოსწავლეთა საჭიროებებს.

სწავლის შედეგი 2. იყენებს პიროვნების, განვითარებისა და განათლების თეორიებს და წარმართავს საგაკვეთილო პროცესს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, მათი კულტურული მრავალფეროვნების, დიფერენცირებული და რემედიაციული სწავლების მიდგომების გათვალისწინებით უსაფრთხო, თავისუფალი და მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შესაქმნელად;

სწავლის შედეგი 3. ქმნის შეფასების სქემებსა და რუბრიკებს თითოეული მოსწავლის მიღწევისა და პროგრესის ობიექტურად შესაფასებლად. ეფექტიანად იყენებს განმავითარებელი შეფასების შედეგებს მოსწავლის მიღწევისა და პროგრესისათვის;

სწავლის შედეგი 4. ახდენს დემოკრატიული ღირებულებების, მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში პიროვნების სოციალური და ბუნებრივი გარემოსადმი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდაში;

სწავლის შედეგი 5. იყენებს განათლებაში ახალ მეცნიერულ ცოდნას, ტენდენციებს და თანამედროვე კვლევების შედეგებს უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით; გეგმავს საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას და შედეგების საფუძველზე აანალიზებს პედაგოგიური საქმიანობას განათლების სისტემის საკანონმდებლო აქტების გათვალისწინებით;

სწავლის შედეგი 6. იძიებს, შეარჩევს, ქმნის და იყენებს დამხმარე რესურსებს და ციფრულ ტექნოლოგიებს მოსწავლეების საჭიროების გათვალისწინებით და შედეგების გასაუმჯობესებლად;

სწავლის შედეგი 7. სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების, მოსწავლეთა შედეგების/მიღწევების გაუმჯობესების და პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირების მიზნით იყენებს ახალ სტრატეგიულ მიდგომებს, ეთიკური ქცევის ნორმებისადმი ავლენს პროფესიულ პასუხისმგებლობას. მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან ქმნის ეფექტური კომუნიკაციისა და საქმიანი თანამშრომლობისათვის შესაბამის გარემოს.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან (იხ. პროგრამის **დანართი 1** – პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა).

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა (იხ. პროგრამის **დანართი 2** - პროგრამის სწავლის შედეგების რუკა).

პროგრამის მოცულობა

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის იმ აკადემიურ დატვირთვას, რაც საჭიროა და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს. კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და და-მოუკიდებელი მუშაობის საათებს.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 1 აკადემიურ წელს ანუ 2 სემესტრს და მოიცავს 60 კრედიტს.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას, მოიცავს ლექციებზე დასწრებას, პრაქტიკულ მუშაობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, პრაქტიკის გავლას, პრაქტიკის ანგარიშის მომზადება-დაცვას.

ერთი აკადემიური წელი მოიცავს 42 კვირას, ერთი სემესტრი 21 კვირას, მათ შორის 15 კვირა არის სასწავლო, დანარჩენი 6 კვირა - სასესიო. კერძოდ, მე-8-9 კვირა ეთმობა შუალედურ გამოცდებს, მე–18 და მე–19 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდია, მე–20 და 21-ე კვირა კი დამატებითი გამოცდების პერიოდი. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედია დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღე.

პროგრამის სტრუქტურა

მასწავლებლის მომზადების საგანამანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, მათ შორის:

ზოგადი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები (სავალდებულო მოდული ყველა მიმართულებისთვის) – 28 კრედიტი[1]

ზოგადი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები - 3 კრედიტი[2]

შესაბამისი მიმართულების საგნის სწავლების მეთოდური მოდულის სასწავლო კურსები (ჩაშენებული პრაქტიკით) - 19 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო კურსი)[3]

პედაგოგიური პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტი (სასკოლო პრაქტიკა) - 10 კრედიტი (შესაბამისი მიმართულებისთვის განსაზღვრული სასკოლო პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი).

პედაგოგიურ პრაქტიკა მეთოდიკური კურსების გავლის შემდგომ ან პარალელურად მიმდინარეობს მეორე სემესტრში. პრაქტიკის კომპონენტის მოთხოვნები აღწერილია შესაბამის სილაბუსში, რაც გულისხმობს მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენებას. კერძოდ, გაკვეთილების ჩატარებას ყველა მიმართულებით და ყველა კომპონენტის გათვალისწინებით, შემდგომი რეფლექსიითა და პრაქტიკის ანგარიშის წარდგენით.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევისა და შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებისკენ. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას. მასწავლებლის მომზადების

---

[1] მოდულში შემავალი სასწავლო კურსი „საგანმანათლებლო ტექნოლოგიები“ სავალდებულოა ყველასთვის, გარდა იმ პირებისა, ვინც ირჩევს კომპიუტერული ტექნოლოგიების მოდულს.

[2] არჩევითი სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი კრედიტების (3 ECTS) ათვისება სავალდებულოა ყველასთვის, გარდა იმ პირებისა, ვინც ირჩევს დაწყებითი საფეხურის კომბინირებულ მოდულს.

[3] გარდა იმ პირებისა, ვინც ირჩევს: დაწყებითი საფეხურის კომბინირებულ მოდულს და კომპიუტერული ტექნოლოგიების მოდულს. დაწყებითი საფეხურის კომბინირებულ მოდულის კრედიტების რაოდენობაა 22 კრედიტი; კომპიუტერული ტექნოლოგიების მოდულის კრედიტების რაოდენობაა 23 კრედიტი.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია პროგრამის კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები, კომპონენტების თანმიმდევრობა, კომპონენტების კრედიტების სემესტრული განაწილება, სტუდენტის სემესტრული დატვირთვა.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები, კომპონენტების კრედიტების მოცულობა, წინაპირობები და სემესტრების მიხედვით კომპონენტების განაწილება განსაზღვრულია პროგრამის სასწავლო გეგმით (იხ. **დანართი 5** - პროგრამის სასწავლო გეგმა).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მეშვეობით განისაზღვრება სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამის კონკრეტულ შედეგებთან. კერძო მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასება დაფუძნებულია კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფლობს თუ არა სტუდენტი სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომელიც ტარდება მე-8-9 კვირაში. შუალედური შეფასება გულისხმობს სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს სტუდენტების მუშაობის პროცესის, შუალედური გამოცდის და სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაოს ჯამურ შეფასებას, ხოლო დასკვნითი შეფასება - დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შუალედური და დასკვნითი შეფასებების მეთოდებს და მათ ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში. სილაბუსში ასევე განმარტებულია თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებიც.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 50 %, დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%+1 ქულა.

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისთვის დადგენილი მინიმალური ზღვრების გადალახვის საფუძველზე სტუდენტის მიერ მიღებული ქულების ჯამი შეადგენს 51 ქულას ან მეტს.

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ასევე უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდების მიზანია, ობიექტური და გამჭვირვალე, სასწავლო კურსის მიზნებზე და მის სპეციფიკაზე ორიენტირებული კრიტერიუმების გამოყენებით, დაადასტუროს თითოეული სტუდენტის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევა.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, შუალედური და დასკვნითი შეფასებებისას გამოყენებულია შეფასების შემდეგი მეთოდები:

- **სამუშაო ჯგუფში აქტიურობა/ზეპირი გამოკითხვა** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ლექტორის მხრიდან ცალკეული სტუდენტებისთვის კითხვების დასმას ლექციის დროს ახსნილი და მათ მიერ დამოუკიდებლად დამუშავებული მასალის შესახებ მათი ცოდნის გამომჟღავნებისა

და შეფასების მიზნით. ზეპირი გამოკითხვის შეფასებისას სტანდარტულად ექცევა ყურადღება სტუდენტის სისხარტეს, პასუხების ადეკვატურობა/რელევანტურობას, ფაქტების სიზუსტეს, გასაგებ ენაზე გადმოცემის უნარს, დამაჯერებლობას და სხვა.

- **შემთხვევის შესწავლა/ანალიზი (Case study)** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტების მიერ კონკრეტული დარგისთვის დამახასიათებელი ან პირიქით, გამონაკლისი შემთხვევის ანალიზს დროის დათქმულ მონაკვეთში. ქეისის საშუალებით ლექტორი ამოწმებს სტუდენტის კრიტიკული აზროვნების, დასკვნის გაკეთების და კომპლექსური საკითხის გაცნობიერების უნარებს, ასევე პროფესიულ-ეთიკულ ღირებულებებს და ამ ღირებულებებით ოპერირების უნარს.

- **პრეზენტაცია (თემის/პორტფოლიოს/რეფერატის)** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის შეფასებას მის მიერ სასწავლო მასალის, რეფერატის, თემის, პორტფოლიოს ჯგუფის წინაშე ვიზუალური საშუალებების თანხლებით წარდგენის ფონზე. პრეზენტაცია ამოწმებს სტუდენტის გადმოცემის მანერას, ტექნიკასთან მუშაობის უნარს, პრეზენტაბელურობას, მოწოდებული ინფორმაციის ადეკვატურობას და სხვა.

- **დისკუსია-დებატები** - შეფასების მეთოდი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები იხილავენ კონკრეტულ პრობლემას/თემას/საკითხს და ფასდებიან არგუმენტებითა და კონტრარგუმენტებით ოპერირების, დასკვნის გაკეთების, თვითრეფლექსიის, ანალიტიკური უნარების და სხვა რელევანტური კრიტერიუმების მიხედვით.

- **თეორიული საკითხი** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ლექტორის მიერ სტუდენტისთვის თავისუფალი ხასიათის წერითი დავალების მიცემას, რომელიც არ არის სტანდარტიზებული, თუმცა განსაზღვრულია თემატიკა და/ან სათაური, რომელზე დაყრდნობითაც სტუდენტს ევალება მცირე მოცულობის ანალიტიკური ნაშრომის დაწერა.

- **პორტფოლიო** - ინდივიდუალური ნამუშევრების კრებული, სადაც დოკუმენტირებულია როგორც სტუდენტის/პრაქტიკანტის მუშაობის პროცესი, ასევე შედეგი. იგი ნათლად წარმოაჩენს საქმიანობის და პროფესიული მომზადების, უწყვეტი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული საქმიანობის ანალიზის, შეფასებისა და პროფესიული წარმატების დამადასტურებელი დოკუმენტების ერთობლიობა დროის გარკვეულ მონაკვეთში.

- **კაზუსის ამოხსნა** - შეფასების ისეთი მეთოდი, რომელიც პრობლემის გადაჭრამდე გადასადგმელი ნაბიჯების/ ეტაპების ანალიზსა და შეფასებას მოიაზრებს. ის ორიენტირებულია კონკრეტული დარგის ფარგლებში არსებული შემთხვევის ანალიზსა და დამუშავებაზე შესაბამისი წესების დაცვით. პრობლემის გადაჭრის პროცესი მოიცავს შესაბამისი ეტაპების განხილვას, არგუმენტაციის დახმარებით ფაქტობრივი გარემოებების შეფასებას და დასკვნების ჩამოყალიბებას. მოცემულ შემთხვევაში პრობლემის გადაწყვეტა საჭიროებს კრიტიკულ, შემოქმედებით და ლოგიკურ აზროვნებას და პრაქტიკული უნარების გამომუშავებას უწყობს ხელს.

- **ტესტი (ღია, დახურული, კომინირებული, სადიაგნოსტიკო)** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტების მხრიდან ლექტორის ავტორობით შედგენილი წერილობითი კითხვების/დავალებების შესრულებას დროის განსაზვრულ, მცირე მონაკვეთში მათ მიერ განვლილი მასალის ცოდნის, თუ მათი კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნებისა და არგუმენტირების უნარის შემოწმების მიზნით. ტესტები, როგორც წესი, მოიცავს როგორც ღია, ისე

დახურულ კითხვებს, და შესაძლოა, ტერმინის განმარტებასაც. კომბინირებული ტესტის შემთხვევაში, დამატებით გვხვდება ასევე თემა, ქეისი ან კაზუსიც. ღია ტესტი საჭიროებს ერთმნიშვნელოვან მოკლე პასუხს, რაც გამორიცხავს გამოცნობას, დახურულ კითხვებზე პასუხის გაცემისას სტუდენტებს არჩევანის გაკეთება უწევთ ალტერნატიულ ვერსიებს შორის, ხოლო თემა/ქეისი/კაზუსი ითხოვს შედარებით უფრო ღრმა და ვრცელ მსჯელობას.

- **ქვიზი** – შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ლექტორის მიერ სტუდენტების წერილობით გამოკითხვას მოკლე ტესტის ფორმატში და, როგორც წესი, შედგება დახურული კითხვებისგან. ქვიზის მიზანია, შეამოწმოს სტუდენტების მიმდინარე ცოდნა და მისი შეფასების სტანდარტული კრიტერიუმია პასუხების სისწორე. ლექტორი სილაბუსით განსაზღვრავს ქვიზის შესრულებისთვის გამოყოფილ დროსა და თითოეული კითხვის წონას.

- **სიტუაციური ამოცანა** – შეფასების მეთოდი, რომელიც ამომწმებს რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში სტუდენტების მხრიდან როლური ფუნქციების ფარგლებში, ვერბალურად და/ან წერილობით გადაწყვეტილ ამოცანებს. ლექტორი, როგორც წესი, აფასებს, რამდენად ითვალისწინებს სტუდენტი კვაზირეალური სიტუაციის კონტექსტს და საკუთარ როლურ ფუნქციას, რამდენად რაციონალურ გადაწყვეტილებებს იღებს პრობლემის გადასაწყვეტად და სხვა რელევანტური კრიტერიუმების მიხედვით.

- **პრაქტიკული დავალება** – შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მიერ ტექნიკური ან/და ქცევითი უნარების გამოვლენის ხარისხის შემოწმებას. შეფასება შეიძლება დამოკიდებული იყოს საბოლოო რეზულტატზე, მტკიცებულებაზე (პროდუქტი) ან აქტივობის შესრულების პროცესზე. დასაშვებია ორივე ვარიანტის კომბინაცია.

- **ჩაშენებული პრაქტიკა** – შეფასების მეთოდი, რომლის დროსაც სტუდენტი აკვირდება სასწავლო პროცესს, მასწავლებელთან ერთად მონაწილეობს დაგეგმვაში, ასისტირებას უწევს მას საგაკვეთილო პროცესში, აანალიზებს ნანახს და წერს რეფლექსიას.

- **კომპლექსური დავალება** – შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემოქმედებით პროდუქტს, რომელსაც თავად მოსწავლე ქმნის. დავალების ეს ტიპი მოიცავს რამდენიმე დავალებას ერთად: მოძიებას, დალაგებას, მსჯელობას, პრეზენტაციას. ის შეიძლება იყოს ინდივიდუალურიც და ჯგუფურიც.

- **რეფლექსია** – შეფასების მეთოდი, რომლის დროსაც სტუდენტი ახორციელებს საკუთარი პიროვნების, ქმედების, ღირებულებების, მოტივების, ინტერესების, ცოდნის, მდგომარეობის, გაცნობიერებას, შეფასებასა და თვითანალიზს. აღნიშნული შეფასების დროს ხორციელდება სასწავლო საქმიანობის შედეგების, საკუთარი ქცევის, მიღწეული შედეგების თვითშეფასება.

- **რეფერატი** - შეფასების მეთოდი, რომელიც მოითხოვს სტუდენტის მხრიდან წიგნების, სტატიების, სხვა სამეცნიერო ნაშრომების მიმოხილვას, კრიტიკულ ანალიზს, კომენტირებას და საკუთარი პოზიციის კონსტატაციას წერილობითი ფორმით. რეფერატის შეფასებისას ლექტორი ძირითადად ამოწმებს სტუდენტის უნარს, წეროს აკადემიურად, გაიაზროს სხვადასხვა ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრები, შეუპირისპიროს ისინი ერთმანეთს, მოახდინოს მათი ერთიან ტექსტად ფორმირება, იკვლიოს დამოუკიდებლად და გააკეთოს დასკვნები. ლექტორმა შეიძლება, მოითხოვოს რეფერატის წარდგენა კლასის წინაშე თვალსაჩინოებების გამოყენებით, რა შემთხვევაშიც პრეზენტაცია ექვემდებარება დამატებით შეფასებას.

- **დიდაქტიკური ესსე** - შეფასების მეთოდი, რომელიც წარმოაჩენს ავტორის საკუთარ პოზიციას/მოსაზრებას დასმული საკითხის გარშემო და, შესაბამისად, არგუმენტებს, რომელიც დაასაბუთებს წარმოდგენილი პოზიციის/მოსაზრების უპირატესობას. როგორც შეფასების მეთოდი, იგი ავლენს წერითი კომუნიკაციის, საკუთარი პოზიციის გამოკვეთისა და დასაბუთების, ფაქტის/ მოვლენის კომპაქტურად მიმოხილვის, განმარტების, არგუმენტების/კონტრარგუმენტების ჩამოყალიბების, დასკვნის გაკეთების უნარებს. ლექტორმა შეიძლება, მოითხოვოს ესსეს წარდგენა კლასის წინაშე თვალსაჩინოებების გამოყენებით, რა შემთხვევაშიც პრეზენტაცია ექვემდებარება დამატებით შეფასებას.

პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ცხრილი, სადაც აღწერილია თითოეული სწავლის შედეგის შეფასების ინდიკატორები, მითითეულია შეფასების დონეები და რუბრიკები, ასევე, განსაზღვრულია შედეგების შეფასების პერიოდულობა, წარმოდგენილია პროგრამის დანართის სახით (იხ. პროგრამის **დანართი 4** - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება).

დასაქმების სფერო

პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება ექნება, იმუშაოს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლებში შესაბამისი საფეხურის/საფეხურების და საგნის/საგნების მასწავლებლად, ასევე, ზოგადი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებში ფორმალური და არაფორმალური მიმართულებით.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება არ იძლევა სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

ნინო ფეტვიაშვილი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ.:

სოფიო ხუნდაძე